

გორში ტრადიციული საშობაო აღილო მოენყო

07 იანვარი 2020

საშობაო აღილოს მსვლელობა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო და მომლოცველებმა ქალაქის ცენტრალური ქუჩები გაიარეს. მსვლელობის შემდეგ კი გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრია აღილოს მონაწილეები დალოცა.

მსვლელობას შიდა ქართლის რწმუნეული გიორგი ხოჯევიანიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა და მონაწილეებს საშობაო ნობათიც გადასცა. „გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს! შობა სიყვარულთან, იმედთან, მშვიდობასთან, სიკეთესთან ასოცირდება და გისურვებთ არც ერთი არ მოკლებოდეს თქვენ, თქვენს ოჯახებსა და ჩვენს ქვეყანას“ - აღნიშნა გიორგი ხოჯევიანიშვილმა.

საშობაო აღილო რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში მოენყო.